

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

„ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“

წესდება

თბილისი 2019

თავი 1. ზოგადი დებულებანი

- 1.1 კლუბის სრული დასახელება: ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity
- 1.2 „ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“ წარმოადგენს გაერთიანებას, რომელიც უნივერსიტეტის და საკუთარი წესდების საფუძველზე ახორციელებს თავის საქმიანობას;
- 1.3 კლუბი იქმნება ერთი წლის ვადით, ამის შემდეგ გადაიხედება კლუბის საქმიანობის გაგრძელება.

თავი 2. კლუბის საქმიანობა

2.1 „ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“-ის მიზანია, ერთმანეთთან დააკავშიროს ბიზნეს სფეროთი დაინტერესებული ახალგაზრდები და მისცეს მათ საშუალება განახორციელონ საინტერესო პროექტები, კლუბი ხელს შეუწყობს კლუბის წევრებსა და ნებისმიერ სტუდენტს მიიღონ პრაქტიკული გამოცდილება, თეორიულ სწავლებასთან ერთად, გარდა ამისა ხელს შეუწყობს შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებების მოწყობას, რაც გაზრდის სტუდენტების მოტივაციას. კლუბის მიზანს ასევე წარმოადგენს მენეჯმენტის, საბანკო-საფინანსო და ტურიზმის სფეროში სტუდენტებისთვის ნებისმიერი სიახლის მიწოდებას.

კლუბის ძირითადი საქმიანობა:

- 2.2 მენეჯმენტის, საბანკო საფინანსო და ტურიზმის სფეროს პოპულარიზაცია.
- 2.3 მენეჯმენტის, საბანკო საფინანსო და ტურიზმის სფეროში საინტერესო აქტივობების/პროექტების/ვორკშოპების მოფიქრება, დაგეგმვა და განხორციელება, შიდასაუნივერსიტეტო შეჯიბრებების მოწყობა, სტუდენტებისთვის ბიზნესის სფეროში დანერგილი სიახლეების გაცნობა.

თავი 3. კლუბის წევრობა

3.1 ამ წესდებით დადგენილი წესით კლუბის წევრი შეიძლება გახდეს ილიაუნის ნებისმიერი დაინტერესებული სტუდენტი, რომელიც იზიარებს კლუბის წესდებას .

3.2 კლუბში გაწევრიანების მსურველი წერილობით მიმართავს კლუბის წარმომადგენლებს, რეგისტრაციის გავლისა შემდეგ კი აღირიცხება შესაბამის მონაცემთა ბაზაში.

3.3 კლუბის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) საკუთარი განცხადების საფუძველზე;

ბ) თუ იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს;

გ) თუ იგი უხეშად არღვევს გაერთიანების ეთიკის ნორმებსა და შინაგანაწესს;

დ) უფლებამოსილების შეწყვეტა ვრცელდება კლუბის ყველა წევრზე, გარდა დამფუძნებლის სპეციფიკური შემთხვევისა.

3.4 კლუბის წევრი უფლებამოსილია:

ა) მონაწილეობდეს კლუბის საერთო კრების მუშაობაში;

ბ) კლუბის მიზნების შესაბამისად, შესაძლებლობის ფარგლებში ისარგებლოს კლუბის საკუთრებაში არსებული ინფორმაციით და ტექნიკური საშუალებებით;

3.5 კლუბის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას კლუბის წესდება და წევრთა უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

ბ) დაიცვას კლუბის ეთიკის ნორმები და დაემორჩილოს შინაგანაწესს;

გ) მონაწილეობდეს კლუბის საქმიანობაში.

თავი 4. პრეზიდენტის შესახებ

4.1 ხელმძღვანელობს კლუბს

4.2 უზრუნველყოფს კლუბის ქმედითუნარიანობას

4.3 ეხმარება კლუბს სწორი მიმართულების არჩევაში და საქმიანობის სწორად წარმართვაში.

4.5 პრეზიდენტს კლუბის წესდების დარღვევის შემთხვევაში მოეხსნება უფლებამოსილება და გაირიცხება ჯგუფიდან:

ა) თუ იგი უხეშად არღვევს კლუბის ეთიკურ ნორმებს და შინაგანწესს;

ბ) სისტემატიურად არ ესწრება შეხვედრებს;

გ) ზეწოლას ახდენს კლუბის ან გუნდის წევრებზე;

4.7 პრეზიდენტი ირჩევა კლუბის წევრთა საერთო რაოდენობის ხმების უმრავლესობით.

თავი. 5 გუნდის შესახებ

5.1 „ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“ ემყარება გუნდურ მუშაობას.

5.2 „ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“-ის გუნდის საქმიანობა იგეგმება წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, დაგეგმილი პროექტის ან/და ღონისძიების სპეციფიკიდან გამომდინარე.

5.2 წესდებაში შესწორების შეტანის და წესდების შეცვლის უფლება აქვს კლუბის პრეზიდენტს და გუნდის წევრებს.

აღნიშნული წესდება ამოქმედდეს მისი დამტკიცებისთანავე.

„ილიაუნის ბიზნესის სტუდენტური კლუბი - Publicity“-ის დამფუძნებელი:

– ემზარ აბდულლაევ

ე.აბდულლაევ

2.07.2019.